№ 75 11 აპრილი, ოთხშაბათი 1866—1879 11 აპრილი, ოთხშაბათი № 75

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Цалкэ номери ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდი სტრ-ებით ახოზე—1 კაპ., ასეთ-მოკლეთ სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., ბატონოთი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა

გაჭირებულ ქართულ-ეთელთათვის

ჩვენ მოგვიეიდა სია ჯიბრაილის ტამოჟრის ჩინოვნიკებისაგან შეკრებილი თ. კოსტანტინე ჭავჭავაძის თაოსნობით დამშეულ მობულეთელთათვის

თ. კოსტანტინე რომან. ჭავჭავაძე	10
ვასილ პეტრეს ძე სოკოლოვი	6
სოლომონ სიმონის ძე მასხაროვი	3
ნიკოლოზ აბრამის ძე უთნელიშვილი	6
ივანე იოსების ძე ბრიგორიევი	4

სულ—29 მან.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ნიკოლაევი, 6 აპრილს. ზღვის ოლქის სასამართლოში დაიწყეს ლივადიის იახტის დალუპვის საქმე, რომლის თაობაზედაც სამართალში არის მიცემული უკანასკნელი ომის გმირი დუბასოვი.

პეტერბურღი, 8 აპრილი. „მმართებლობის უწყება" გვატყობინებს, რომ როდესაც სენატორებმა სამსჯავრო მინისტრთა წინამძღოლებთ 3 აპრილს მოუოლოცეს ხელმწიფე იმპერატორს მშვიდობით გადარჩენა, მის იმპერატორობით უდიდესობამ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „მადლობას გიცხადებთ თანაგრძნობისათვის, რომელზედაც მე ეჭვი არა მქონდა. მე ვარ დარწმუნებული, რომ მომეხმარებით ამ სამძიმო დროებაში, რადგანაც თქვენ კარგათ იცით რა ჩასაფიქრებელი დროც არის საჭიროება მოითხოვს, რომ ყოველი ღონისძიება მოვიხმაროთ ამ ბოროტების მოსასპობლათ. ნუ დაჰკარგავთ იმედს. საჭიროება მოითხოვს, რომ ვიაროთ ჩვენს გზაზედ და ვასრულებდეთ ჩვენს მოვალეობას რუსეთის პატიოსნურ სამსახურით. იმედი მაქვს, ჩვენი შრომა მოიტანს ნაყოფს და ჩვენ ენახავთ რუსეთს მშვიდობიან და ბედნიერ მდგომარეობაში".

პეტერბურღის ქალაქის ხმოვანები 4 აპრილს წარსდგნენ ხელმწიფის წინ და მიულოცეს მას მშვიდობით გადარჩენა. ქალაქის თავის მოლოცვაზედ იმპერატორმა უპასუხა მათ შემდეგი სიტყვებით: „მადლობას გიცხადებთ იმ გრძნობისათვის, რომელიც გამოაცხადა თქვენმა ქალაქის თავმა და რომელზედაც ყოველთვინ ვიყავი დარწმუნებული. გიცხადებთ თქვენ, რადგანაც თქვენ, მომატებულს, საკუთარი სახლები გაქვსთ, რომ ყურადღება იქონიოთ თკვენს ეზომხვეტელებზედ და მდგმურებზედ; თქვენი მოვალეობა არის, რომ მოეხმაროთ პოლიციას და არ გეყენოთ თქვენს სახლებში საეჭო პირები. ამისთანა საქმეს უბრალოთ არ უნდა უყურებდეთ, რადგანაც თქვენ კარგათ ჰხედავთ რა ამბებია ხდება—მოვა დრო, რომ პატიოსანს კაცს არ შეეძლება ქუჩაში გამოსვლა. დაინახეთ რა კაცის მკვლელობაა—კარგია მე ღვთის მადლით გადავრჩი, თორემ კარგათ გახსომთ როგორათაც გაისტუმრეს საიქიოს მეზენცევი, როგორათაც უნდოდათ მოეკლათ დრენტელნი ამისათვის მე მაქვს თქვენი მოხმარების იმედი, რადგანაც ეს თქვენი მოვალეობაა".

დროებითი ღენერალ-ღუბერნატორები დაუნიშნავთ: ტოტლებენი ოდესაში, ლორის-მელიქოვი — ხარკოვში, ბურკო—პეტერბურღში.

ამბობენ ხარკოვის ღენერალ-ღუბერნატორის უფლების ქვეშ იქნება ხარკოვის, პოლტავის, ჩერნიგოვის და ორლოვის გუბერნიები. ოდესსის ღენერალ-ღუბერნატორს ექნება ის უფლება, რა უფლებაც ჰქონდა ნოვოროსსის ღენერალ-ღუბერნატორს. ლორის-მელიქოვი პირ-და-პირ დანიშნულ ალაგზედ წავა.

საქართველო

კავკასია—ავღანი

(დასასრული)

1838 წელს 26 ივნის ინგლისის მთავრობასა და პენჯაბის მთავარს შორის მოხდა შემდეგნაირი მორიგება, რომლის ძალით პენჯაბის მფლობელი მოვალეთ ჰხდებოდა ავღანიდან გამოგდებული მეფის წული ჩუჩა ავღანის ტახტზე დაესვა და ამ განზრახვით ინგლისი მზათ იყო პენჯაბის მთავრის რუნჯიზინგისთვის ჯარი მიეშველებინა. იმავე წელს პირველს ოკტომბერს ინდოეთის ღენერალ-ღუბერნატორმა ლორდმა აუკლანდმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც ავღანის ერისთვებს სანდურავს უცხადებდა, რომ ისინი ინგლისის მოკავშირეს რუნჯიზინგს აწუხებენო; იმან იქვე აღიარა მეფის წული ჩუჩა ავღანის მეფედ და ურჩევდა ავღანის ერისთვებს, რომ იმას დამორჩილებოდენ; ცოტა ხანი კიდევ გავიდა და შემდეგ თვითონ ინგლისის ჯარიც გამოემართა ბოლანის მთის გასავალში, რომ ეს ავღანისტანში შესასველელი მთის კარი ხელში ჩაეგდო.

ავღანის ერისთვები შეგროვდენ დოსტ-მაგომეტის თაოსნობით და გამოიყვანეს ბრძოლის ველზე ოც-და-ხუთი ათასი კაცი. ამავე დროს სპარსეთის ჯარი ორმოცი ათასი კაცი მოადგა ბერატს; მაგრამ როგორც კი სპარსეთის შაჰმა სცნო, რომ ინგლისის სამხედრო გემები გამოჩნდენ სპარსეთის ზღვის უბეში, მაშინვე მიატოვა ბერატი და ჯარი უკან დასწია.

ბოლანის მთის გასავალში დიდი ტანჯვა გამოსცადა ინგლისის ჯარმა მეტის მეტი სიცხისაგან და უწყლობის გამო. ავღანელებმა როგორც დაინახეს ინგლისის ჯარი, მაშინვე გაიფანტ-გამოიფანტენ. აქ დოსტ-მაგომეტმა ხერხი იხმარა; იმას უნდოდა მოეტყუებინა ავღანისტანში ინგლისის ჯარი და მერე დავლური ომით სულ გაეწყვეტა. მარტო ბაზნეის ქალაქში დაუხვდა წინ დოსტ-მაგომეტი; მაგრამ რაკი აქ ის ინგლისელებმა დაამარცხეს, ავღანელებმაც მიატოვეს თავის მთავარი; დოსტმაგომეტს მეტი გზა არ ჰქონდა, მთაში ურდა გაქცეულიყო.

დადგა 1840 წელი. ინგლისის ჯარი დაუახლოვდა ქაბულს. დოსტ-მაგომეტმა შეაგროვა ახალი ჯარი საბრძოლათ; მაგრამ 18 სეკტემბერს ხელ-მეორედ დამარცხდა და ჩაუარდა ტყვედ ინგლისელებს. ამის შემდეგ ინგლისელებმა იწყეს ამაყად მოქცევა ავღანელებთან. ისინი უპატიურათ ექცეოდენ თვითონ ხალხს; სურდათ დიდი ხნის გაგდებული ჩუჩა ავღანის ტახტზე აეყვანათ. ამასობაში თვითონ ინგლისელებმაც დიდი შეცდომა მოახდინეს. მხედართ მთავარს ალექსანდრე ბურნეს ჯარის უფროსობა ჩამოართვეს და ვილლიამ მაგმახტენს გადასცეს. ბურნეს ძალიან კარგათ ჰქონდა შესწავლული ავღანელების თვისება და ხასიათი; თვითონ ავღანისტანსაც ისე იცნობდა, როგორც თავის თავს; მაგ-მახტენი კი ახალი კაცი იყო და ქვეყნის უცნობი. ცოტა ხანს შემდეგ ქაბულის მცხოვრებლები განუდგენ, დაეცენ ინგლისელებს და სხვათა შორის მოჰკლეს ღენერალი ბურნე. ამის შემდეგ სხვა-და-სხვა მაზრის ერისთვები აღდგენ თავის ქვეშევრდომებიან, შემოზღუდეს სხვა-და-სხვა ალაგას გაფანტული ინგლისის ჯარები და დაუწყეს უწყა-

ლოთ ხოცვა. 1842 წელს რითაც იქნა ლენერალმა ელფინსტონმა და სბელტონმა ძლიეს შეკრიბეს ინგლისის ჯარის ნაშტი, რომელიც კი გადაურჩა აღღანელების ხმალს და ცდილობდენ ხაიბერის მთის გასავლით ინდოეთში დაბრუნებას. მაგრამ აქ აფრიდონელებმა გადულობეს იმათ გზა და შეიქნა კიდევ ხელ-ახლად ინგლისელების ჭლეტა; მეფის წული ჩუჩაც აქ მოჰკლეს, ისე რომ ხუთი ათასს კაცში ათი ინგლისელი აღარ დაბრუნებულა ინდოეთში. თვითონ ლენერალი ელფინსტონი ქაბულის ქალაქში შეიპყრეს და სატუსაღოში ამოხდა სული. მაგრამ ამ უბედურების შემდეგ ინგლისელებმა ისევ მალე გამოიბრუნეს ხელი.

1843 წელს იმათ გამოგზავნეს აღღანისტანში ახალი ჯარები; ამათ ზოგიერთს ქალაქებში შემწყვდეული ჯარები განათავისუფლეს. ქაბული, გაზნიეს ქალაქი და ქანდაგარი დაიპყრეს და მიწასთან გაასწორეს. ქაბულიდან წამოიღეს დიდი მაგომედ გაზნეიდისაგან მოტაცებული ზომნათის ტაძრის კარი და რვაასი წლის შემდეგ ისევ დაუბრუნეს ინდოეთის დიდებულს ბრამის ტაძარს. ამის შემდეგ ინგლისის ჯარი გამოვიდა აღღანისტანიდან და განათავისუფლა ტყვეობიდან ლოსტომაგომეტი. ინგლისელებმა აღღანისტანი ძალიან აოხრებული დააგდეს. იქ ცალ მხრით სპარსეთის პარტია გაკეთდა, რომელსაც უნდოდა სპარსეთის სახელმწიფოსთან შეერთებინა მთელი თავის ქვეყანა; მეორეს მხრით ბალხისკენ ერისთვებმა პირი შეჰკრეს ერთმანეთთან, რომ მთელი აღღანისტანი თვითონ დაეპყრათ.

ეს ისეთი მდგომარეობა იყო აღღანისტანისა, როგორც საქართველოს მდგომარეობა აღა მაგომედის შემოსევის შემდეგ. მაგრამ უფულო და უჯარო ლოსტომაგომეტს მაინც არ წარკვეთია სასოება, იმას ჰყავდა ერთი ძალიან გულადი და მარჯვე შვილი აკბარ-ხანი. მამა და შვილმა მალე მონახეს თავის უწინდელი მეგობრები და შეაგროვეს ჯარი; იმათ ცალკე სპარსეთის ხელმწიფის მომხრენი დაამარცხეს და განსდევნეს ბერატიდან და მეორეს მხრით ბალხის უზბეკების (ერისთვების) კრება გაყარეს აღღანისტანიდან. ამის შემდეგ ლოსტ-მაგომეტმა თავის შთამომავლობას უანდერძა შემდეგი პოლიტიკა: სანამდის ჩრდილოეთის ძლიერი სახელმწიფო, ესე იგი რუსეთი, მთელს თურქისტანს არ დაიჭერდა და აღღანისტანის საზღვარს არ დაუახლოვდებოდა, მანამდის ინგლისის მთავრობასთან დაკრძალვით უნდა ყოფილიყვენ და იმისი ძალა-უნებური მოკავშირენი; მაგრამ გულში კი დაუძინებელი მტრობა ჰქონდათ. იმათ აქეთ-იქით თვალ-ყური უნდა ედევნათ, რომ ამ საშიშ მეზობლისაგან როგორმე თავის ქვეყანა მოეცილებინათ.

ინგლისის მთავრობამ მალე მოუძებნა პენჯაბის მთავარს მიზეზი და ომი გამოუცხადა, რომ იმის ქვეყანაც ინდოეთისავით ხელში ჩაეგდო. ლოსტ-მაგომეტს ჩუმათ რაც კი შეეძლო დიდს შემწეობას აძლევდა, ჯარიც მიახმარა თავის უწინდელ მტერს რუნჯი-ზინგს. მაგრამ, როგორც კი საწყალი პენჯაბის მთავარი დაამარცხეს, ლოსტ-მაგომეტმა საჩქაროთ მოქუსლა თავის ჯარით ხაიბერის მთის გასავალში და არწმუნებდა ინგლისელებს, რომ რუნჯიზინგს არ მოეხმარებიანარ.

ამის შემდეგ გონიერმა ლოსტ-მაგომეტმა თან-და-თან განაძლიერა თავის სამეფო. 1850 წელს იმან შეიერთა ბალხი, ქანდაგარი და ბერატი. ამ უკანასკნელ მაზრის გულისთვის დიდი შფოთი გასწია სპარსეთთან. ამიტომაც ის ძალიან საჭიროებდა ინგლისის მთავრობის მეგობრობას, რომ ამისგან ზურგგამაგრებული სპარსეთისთვის თავი არ დაედვა და ბერატის მაზრა საბოლოოთ ხელში დარჩეოდა. აი, ამ განზრახვით 1855 წელს აღღანისტანის ემირი ლოსტ-ძაგომეტი თავის-თავად და იმის შთამომავლობის ეაგიერ შეუჰკრა ინგლისის ლენერალ-ლუბერნატორს ინდოეთის გამგებელს ლორდს დალლუზს შემდეგი პირობა: „მე ლოსტმაგომეტი აღღანის ემირი ჩემი და ჩემი შთამომავლობის მაგიერად ვაძლევ პირობას ინგლისის მთავრობას: „რათა ვიყო მეგობარი მეგობართა მისთა და მტერი მტერთა მისთა“.

ამ გვარი კავშირის წყალობით ლოსტ-მაგომეტი თავის შთამომავლობიანა გახდა ემირი და უფალი სრულიად აღღანისტანისა.

ამ პირობაზე აი, რასა სწერს ლორდი დალლუზი: „ამა პირობის ძალით დასავლეთის საზღვარი ინდოეთისა სრულებით უშიშარი შეიქნა მოსაზღვრე ველური ტომების შემოსევისაგან და აგრეთვე შორეულის მტრისაგან, ესე იგი რუსეთისაგან, იმდენათ, რამდენათაც თვით აღღანის ტანის ქედი და ბინდუკუშის მთა ბუნებითი საზღვარი და საფარველი კედელია ინდოეთისათვის“. ამავე პირობის ძალით აღღანისტანს შერჩა ბერატის მაზრა და სპარსეთმაც ძალაუნებურათ უარი სთქვა იმაზე. 1863 წელს მოკვდა ლოსტ-მაგომეტი და მემკვიდრეთ იქმნა ემირ შირ-ალი, რომლის მეფობაში დიდი ამბავი მოხდა. რუსეთმა დაიპყრო თურქისტანი და დაუახლოვდა აღღანისტანის საზღვრებსა. აი, მოახლოვდა ის ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ასეთის სურვილით ინატროდა თვითონ ლოსტმაგომეტი, რომ იმასთან დაკავშირებით გაეწყვიტა თავის მძულვარე მტერთან მეგობრობის კავში და რუსეთის უძლეველი ხელმწიფობის დახმარებით გადაეხადა ძველი თავისი დამცრობა და უწინდელი თავის ქვეყნის აოხრება. ლოსტმაგომეტის იდუმალი ანდერძიც თავის მემკვიდრეებთან ეს იყო, რომ რუსეთის მოსვლას მოლოდებოდნენ; მერე ამ ორის ძლიერის ხელმწიფობის ერთმანეთთან შეტაკებით ესარგებლებინა და ორივეს ვალენიდან სრულად განთავისუფლებული და გადიდებული თავის ქვეყანა გამოეხსნა. რაც ლოსტომაგომეტს არ დასცალდა, ის შეემთხვა შირ-ალის. თუმცა ემირი შირ-ალიც გადიტანა ამ პოლიტიკამ, მაგრამ აწ იაკუბ-ხანი მაინც დაუღალავათ და დიდის ალბანეთ [illegible] თავის მამაპაპის ანდერძის სრულად ასრულებას.

ინგლისის მთავრობა ინდოეთში ყოველთვის დიდის ყურადღებით და შურით ადევნებდა თვალყურს რუსეთის ჯარის წინ მსვლელობას თურქისტანში. ბოლოს რუსეთმა დაიპყრო ტაშკენტი და სირდარიის ნაპირას დააყენა თავის დარაჯები. ამავე დროს ინგლის ინდოეთის მთავრობამ მოუმატა ჯარი პეშავერში. 1878 წელს აღღანის ემირმა შირ-ალიმ მიიღო მეგობრულათ ლენერალ ქაუფმანისგან გაგზავნილი ელჩი ლენერალი სტოლეტოვი თავის სატახტო ქალაქში ქაბულში.

ეს ამბავი ინგლის-ინდოეთის მთავრობას ძალიან ეუცხოვა და იმანაც გამოწყო დიდებული ელჩობა ლორდის ჩემბერლენის და მაიორის ქავანიარის თაოსნობით; იმათ უკან გაყვა ორი ათასი ჯარის კაცი თავის თოფ ზარბაზნით.

ემირ შირ-ალიმ ინგლისის ელჩობას ხაიბერის მთის გასავალში შეახვედრა თავის მეციხურები და ინგლის-ინდოეთის ელჩობა წინ არ გამოუშვა. ინგლისმა ეს მეგობრული პირობების დამარღვეველ საბუთათ მიიღო და აღღანის ემირს ომი გამოუცხადა, როგორც თვითონ მკითხველმა კარგათ იცის.

ჩვენ მხოლოდ დაგვრჩა ამ მოკლს პოლიტიკურ ისტორიულ განხილვის შემდეგ გამოვიკვლიოთ იმ დიდი პოლიტიკური გარემოების აზრი.

ამ ჟამათ აზიის ხმელეთს დაექომაგენ ორი ყველაზე უფრო ძლიერი სახელმწიფო დედამიწის ზურგზე: რუსეთი და ინგლისი. ჩრდილოეთის მხარე ამ ხმელეთისა—ციმბირი, ამურის ქვეყანა და თურქისტანი უჭირავს რუსეთს; სამხრეთის მხარე-ინდოეთი თავის ზღვებით და კუნძულებით ინგლისის სამფლობელოა. იმათს შუა დასავლეთით მდებარებს სპარსეთის სახელმწიფო; აღმოსავლეთით ჩინეთი. მხოლოდ ამ გაყოლებაზე არის ორი ხმელეთის ნასკული მთები, ანუ აზიის ხმელეთის ბურჯები: ავღანისტანის მთაგორები და ქავკასიის ქედები. ამ ორს სამხედრო ბურჯებზე არიან აწ მომდგარნი თავის ჯარებით ზემოხსენებული ორი მოპირდაპირე სახელმწიფოები. ბანსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დასავლეთის აზიის ბურჯი, ანუ ქავკასია რუსეთს უკვე ხელში აქვს; აღმოსავლეთის აზიის ბურჯი, ანუ ავღანისტანი ჯერ კიდევ იბრძვის თავის დამოუკიდებლობის გულისთვის ინგლისის წინააღმდეგ. რადგან აღღანის ქვეყანას ბედი შეეწია და აქამდის მოახწია თავისუფლათ, აწ არა უჭირსრა. ის რუსეთის დაახლოებით ზურგს კარგა გაიმაგრებს. დასაჯარებელია, რომ აღღანისტანის ქვეყანა ნეიტრალათ, ესე იგი თავისუფლად, დარსება. არც რუსეთს და არც ინგლისს ნება არ ექნება, რომ ის დაისაკუთროს. აწ ეს ქვეყანა თითქოს მოზავეთ უნდა დარჩეს, რომ რუსეთისა და

ინგლისის საზღვრები ერთმანეთს არ ეკარებოდენ და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მუდამი მშვიდობიანობა ინგლისსა და რუსეთს შორის...

ბ. წერეთელი

ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

*** თფილისის საზოგადოების კლუბში გუშინ 8 აპრილს იყო კონცერტი მაჰავარიანის ქალის სასარგებლოთ. ამ კონცერტში მიიღეს მონაწილეობა: უფ. სავანელმა, დ. ე ისთავმ, უფ. აპაჩინინმა, სტახოვსკის ქალმა, მაჰავარიანის ქალმა და სხვ. მაჰავარიანის ქალი ჯერ ძალიან ახალგაზდაა, მაგრამ ძალიან კარგი და სუფთა ხმა (კონტრ ალტში) აქვს. ეს ქალი უნდა გაგზავნონ კონსერვატორიაში მუზიკის საზოგადოებამ თავის ხარჯით ხმის შესამუშავებლათ. იმედი გვაქვს რომ მომავალში გვეყოლება კარგი მომღერალი ქართველი ქალი.

დიდათ მოხარულნი ვართ, რომ უფ. სავანელის და კომპ. შრომა ტყუილათ არ მიდის და რაიმე სარგებლობა მოაქვს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ეკლესიის გალობის ნოტებზე გადაღება მიუნდვიათ უფ. მაჰავარიანისათვის, რომელმაც ამასწინეთ გამოსცა სახალხო სიმღერები ნოტებზე გადაღებული.

ვისურვებთ, რომ უფ. მაჰავარიანმა ამ ჯეროობითუფრო გულ-დადებით იმუშაოს საეკკლესიო გალობის ნოტებზე..

*** სამშაბათს 20 მარტს პეტერბურღში სამხატვრო კლუბში იყო ქართული წარმოდგენა ისევ იმ პიესისა, რომელიც ამას წინეთ წარმოადგინეს. მოთამაშეებმა ძალიან კარგა აასრულეს თავიანთ როლები. წარმოდგენის შემდეგ, რომელზედაც დიდ ძალი ხალხი დაესწრო ითამაშეს ლეკური, აბხაზური და დაელური. პახშამზე იმღერეს ქართული სპარსული სიმღერები. საზოგადოებას ძალიან მოეწონა და დიდი მადლობა გადუხადა ამ საღამოს გამმართველს უფ. მაჩაბელს და სთხოვა, რომ ხშირათ გამართოს ამ გვარი საღამოები.

*** დღეს გამოვიდა „ივერიის“ მესამე წიგნი შემდეგის შინაარსით: 1) სიყვარული მხატვრობს, კომედია მოლიერისა (ნამდვილიდამ გადმოთარგმნილი დ. ციფიანისაგან); 2) მასალა საქართველოს ისტორიისათვის (პიეტრო დელლავალლეს მოხსენება საქართველოზედ); 3) შაური ლექსი (როსტომაშვილის მიერ შეკრებული); 4) ზარხოში (სცენისათვის), რაფ. ერისთავისა; 5) ორიოდე სურათი მოთხრობიდამ, შაქროსი; 6) ოკნება, ლექსი; 7) *** ლექსი; 8) წერილი ახეთიდამ (კორრესპონდენცია „ივერიისა“); რ. ძამსაშვილი—�c; 9) ცხოვრება და კანონი (წერილი მეექვსე) ილია ჭავჭავაძისა; 10) ბესარიონ ლეონის-ძე ლოლაბერიძე (ნეკროლოგი); 11) ფიქრი და შენიშვნა.

*** ჩვენ შევიტყეთ როგორც ნამდვილი ამბავი, რომ განსვენებული ბ. ლ. ლოლაბერიძის და სხვა პირების შემწეობით იყო შედგენილი, ურთი-ერთ-ს სესხის ბანკის საზოგადოების წესდება, რომელიც წარუდგინეს თფილისის მმთავარმართებელ-ს, რომელსაც უნდა გაეგზავნა ფინანსის მინისტრთან გასარჩევათ. სასურველია, რომ ეს წესდება რაც შეიძლება მალე დამტკიცდეს.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

სოციალისტების დაჭერის თაობაზედ ავსტრიულ გაზეთში სწერენ შემდეგს: სოციალური მოძრაობის გამო დღეს დილით 25 მარტს (6 აპრილს) დაატუსაღეს ხუთი სტუდენტი, რომელთა შორის ოთხი რუსეთის პოლიციდამ არიან და ერთი სერბიიდამ. ესენი ეკუთვნიან იმ საზოგადოებას, რომლის წესდებაც უპოვნიათ პოლიციის ჩინოვნიკებს სამის წლის წინეთ უფალ ტერლეცკის დაჭერის დროს. სწორეთ აქედამ დაწყებული პოლიცია ყურადღებას აქცევდა ვენის სოციალისტებს, რისგამოც მხოლოდ ახლა მიაგნეს პროპაგანდის კვალს და შეიტყეს, რომ ვენის სტუდენტების და კრაკოვის დატუსაღებულ სტუდენტების შორის ყოფილა კავშირი. ეს დაჭერილი სტუდენტები ყოფილან აგენტები სამზღვარ გარეთ მყოფ საზოგადოებისა. ესენი, როდესაც ჩამოდიოდნენ ვენაში თურმე ავრცელებდნენ სხვა და სხვა სოციალური მიმართულების წიგნებს. უმთავრესი მათი საქმე მდგომარებდა იმაში, რომ მათ უნდა გეევრცელებინათ შეეჩენკოს ბროშურები და სოციალური მიმართულების დრაგომანოვის პროკლამაციები. იმათი ფიქრი მდგომარეობდა თურმე იმაში, რომ რუსეთში მოეხდინათ არეულობა. ერთი სტუდენტი ყოფილა კიევიდამ, საიდამაც წასულა სტუდენტების არეულობის შემდეგ. ხვალ ამათ ჩვენებას ჩამოართმეევენ და შეუდგებიან ამ საქმის გამოძიებას.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ბოლონის გაზეთში „Stella d' Italia“ დაბეჭდილია ბენუიდამ ტელეგრამა, რომელშიაც სწერენ, რომ ღენერალი სტეფანე ქანდიოს, ბარიბალდის სიძეს აბრალებენ სახელმწიფო ღალატობას (სახელმწიფო წყობილობის გამოცვლას), რისგამოც გამოძიება დაუნიშნავთ. ამბობენ, ამ საქმეს შეეხება ბარიბალდის მოულოდნელი რომში ჩამოსვლაო.

— რომში ელიან ალბანიის დეპუტაციას, რომელიც არის შემდგარი ოსმალოს ჩინოვნიკებისაგან და რომელსაც აქვს მიზნათ თხოვნა უცხო ქვეყნების მართებლობისა—რომ ოსმალოს ნება მისცეს, რომ ეპირი საბერძნეთს არ დაანებონ. ეს დეპუტაცია რამოდენიმე ხანი დარჩება რომში და მერე გაწევს პარიჟში, ვენაში, ლონდონში, ბერლინში და პეტერბურღში.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ლონდონიდამ ეტყობულობთ 24 მარტ (5 აპრილს), რომ იაკუბ-ხანს თანხმობა გამოუცხადებია ინგლისიდამ დანიშნული პირები მიიღოს ქაბულში, უანდაარში და ჯელალაბადში. ამას გარდა მას განუცხადებია, რომ გადაიხდის კონტრიბუციას (ჯარიმას) ათ მილიონს რუპს და შეეკვრება ინდოეთ სავაჭრო პირობითა. იაკუბ-ხანს არ უნდა დაუთმოს ინგლისს არა რა ალაგი. იაკუბ-ხანი და ბუხარის ხანი შეკავშირებულან.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

„ნოვოროსიის ტელეგრაფს“ სწერენ კიევიდამ, რომ იქ 20 მარტს სეირნობდა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, რომელმაც თავისი ქცევით ეჭვში შეიყვანა კვარტალნი ტურკატინი. ტურკატინი გაჰყვა უკან უცნობს პირს, რომ შეეტყო მისი ვინაობა, მაგრამ იმ ყმაწვილმა შეიტყო მისი ჰაზრი და ამისათვის შევიდა ტრახტირში, სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ კვარტალმაც შეჰყო თავი. რაკი იქაც დაინახა ტურკატინი, ამისათვის დააპირა ამ ყმაწვილმა მეორე კარებიდამ გასვლა, მაგრამ მის საუბედუროთ კვარტალმა შეაჩერა და მოსთხოვა ვინაობის ქაღალდები. ამ უცნობმა ყმაწვილმა უარი უთხრა პასუხის მიცემისა და ვინაობის ქაღალდის ჩვენებისა, რისგამოც კვარტალმა მიიპატიჟა იგი პოლიციის სასამართლოში და ჩასხდნენ დროშკაში და გაუდგნენ გზასა. როდესაც დროშკა დაადგა მიხაილოვის ქუჩას ამ უცნობმა პირმა ამოიღო რევოლვერი, დაუნიშნა კვარტალნს და გამოუცხადა, რომ თუ არ დამეხსნები მოუკვლელს არ გაგიშვებო, რისგამოც ტურკატინს შეეშინდა და აღელვებულმა ეს ყმაწვილი ხელიდამ გაეშვა. როდესაც გონებაზედ მოვიდა, კვარტალმა დაუშტვინა. ერთმა დესეტნიკმა ამ ყმაწვილს გზა შეუკრა და დააპირა მისი დაჭერა, მაგრამ ამან ესროლა რევოლვერი და მარდათ გვერთ გაუარა, რისგამოც გაცხარებულმა დესეტნიკმა გამოიძრო ხმალი და ესროლა გაქცეულს. ამ ყმაწვილმა დაავლო ხელი დესეტნიკის ხმალს და გარშემორტყმულ ხალხს, რომელთაც მისი დაჭერა უნდოდა, უქნევდა იქამდინ, მინამ ერთმა ეზოს მხვეტელმა არ დაარტყა თავში კეტი და არ წააკვა. იმას არავინ არ დაუჭრია, მაგრამ თითონ გახეთქილი აქვს თავი. ეს ყმაწვილი გამოდგა პოლიტიკურ დამნაშავეთ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝ, ᲒᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ—ᲙᲚᲘᲣᲢ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲖᲔ ᲡᲐᲓᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ № 43 ᲰᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲘᲞᲡ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ.

(1—3

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲜᲑᲐ საყოველთაოთ აცხადებს, რომ 13 აპრილ. დანიშნულია ტორგი, ხუთი წლით არენდათ მიცემის ქალაქის ალაგებისა, რომელიც შეადგენს 600 ოთხ კუთხი საჟენს და რომელიც მდებიაროს მე 10 უჩასტკის მეორე ნაწილში, პირველ ჩასავალ მტკვრის დაღმართზედ, ერისთვის სახლის პირდაპირ შემდეგ საზღვრებითჩრდილოეთის მხარეს ეარანცოვის ნაბერეჟნა, აღმოსავლეთით და სამხრეთით მდინარე მტკვარი და დასავლეთით Ისარლოვის მამულები.

(2—3)

„ᲰᲐᲔᲠ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ“

ᲥᲐᲛᲔᲓᲘᲐ ᲝᲗᲮ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ, ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐ

Მ. ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲘᲡᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ რომელშიაც მსურველს შეუძლიან გააკეთებინოს შემდეგი სამეურნეო იარაღები:

ᲙᲔᲕᲠᲘ ᲜᲘᲙ. ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ (приводъ) ამ კევრისათვის, თ. ᲔᲠ. ᲩᲝᲚᲐᲧ ᲨᲕᲘᲪᲠᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ, ამ ჟამად გაუკეთესებული მისგანვე.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ (приводъ) ისევ ამ კევრებისათვის, ნიკ. ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ, მეხანიზმოთი. საჭიროდ ვრაცხავ ვაცნობო მეურნეთა, რომ ხსენებული კევრი შარშანდელ კვალობაზედ ახლა დიალ გაუკეთესებულია, და თუ რამ დამატება და შეცვლა ეჭირებოდა ახლა შეცვლილია და შესრულებული იმ დამატებებითა.

ᲐᲛ იარაღების შემოკვეთა ვისაც ჰსურს, უნდა მიჰმართოს Ნ. ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სოლოლაკზედ, ᲙᲝᲯᲝᲠᲘᲡ ქუჩაზედ, ᲐᲛᲑᲐᲠᲪᲣᲛᲝᲕᲘᲡ სახლში, № 2, ნაშუადღევის 4-ან 7 საათამდის.

ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲐᲟᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ № 5 ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲐᲛᲓᲘᲜ ᲓᲐ № 6 ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲤᲝᲗᲐᲛᲓᲘᲜ, ᲥᲕᲔᲛᲝ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚ ᲬᲧᲝᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ:

ᲞᲝᲔᲖᲓᲘ № 5

სტანცია.	მოდის.		მიდის.	
	საათ.	მინ.	საათ.	მინ.
ᲤᲝᲗᲘ	—	—	6	45
რიონი	1	25	2	20
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ	3	46	4	39
ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲐ . . .	9	36	10	06
ᲖᲝᲠᲘ	11	55	12	20
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ . . .	3	51	—	—

ᲞᲝᲔᲖᲓᲘ № 6

სტანცია.	მოდის.		მიდის.	
	საათ.	მინ.	საათ.	მინ.
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ . . .	—	—	12	56
ᲖᲝᲠᲘ	4	15	4	35
ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲐ . . .	6	25	6	45
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ	11	44	შუაღ. 12	ამისა 15
რიონი	1	24	1	54
ᲤᲝᲗᲘ . . , . .	6	35	—	—

ᲞᲐᲡᲐᲟᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲓᲘ № 1 ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ ᲓᲐ № 2 ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ, ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲐᲟᲘᲠᲘᲡ № 7 ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲓᲐᲛ ᲓᲐ № 8 ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲕᲚᲘᲐᲜ.

(3—3)

ᲣᲤ. ᲒᲘᲒᲝ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ᲥᲐᲨᲕᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ქვევით დუქნებში. ᲒᲐᲠᲔᲛᲔ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

ᲣᲤ. Ზ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ᲣᲤ. Კ. ᲛᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

„ᲕᲐᲘ ᲭᲙᲣᲘᲡᲐᲒᲐᲜ“

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲝᲗᲮ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ ᲖᲠᲘᲑᲝ ᲔᲓᲝᲕᲘᲡ Ა. ᲜᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘ ᲖᲠ. Ა. ᲬᲘᲜᲘᲛᲫᲦᲕᲐᲠᲝᲕᲘᲡ-ᲛᲘᲔᲠ.

ᲤᲐᲡᲘ—ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲠᲙ. ᲖᲖᲐ.	ᲓᲘᲚᲐ.		ᲡᲐᲦᲐᲛ.		II Კ.		III Კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ . .	9	21	5	18	Მ.	ᲙᲐᲠ.	Მ.	ᲙᲐᲠ.
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ᲖᲝᲠᲘ	11	58	9	43	3	„	1	53
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . . .	1	29	11	57	4	73	2	42
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . . .	1	44			4	90	2	61
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	7	51			9	66	4	93
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	8	43			10	71	5	47
ᲤᲝᲗᲘ . . .	9	50			12	24	6	26
ᲤᲝᲗᲘ . . .	9	3						
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	10	14			1	53	-	78
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	1	18	ღამ.		5	3	2	56
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ᲖᲝᲠᲘ . . .	7	5	4	8	9	24	4	73
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ . . .	8	50	6	59	11	39	5	82
ᲗᲤᲘᲚᲘᲡ . .	9	31	7	56	12	24	6	26

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲠ.
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲥᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ.	—	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ, ᲝᲚᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ. .	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ .	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

Ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲙᲔᲜ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲮᲣᲗᲨ. ᲝᲚᲜᲣᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲑ. ᲑᲐ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲝᲚᲜᲣᲠ-ᲒᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.

	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲠ.
ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲒᲐᲠᲔᲗ:		ᲙᲐᲠ.
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ		4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲮᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ) .		8

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲠ.
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 5 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ.		
ᲤᲥᲕ. ᲗᲔᲗ. ᲒᲐᲜᲯᲘᲡᲐ, ᲤᲗ.	1	60
ᲤᲘᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . . .	1	40
ᲥᲐᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ	1	25
ᲒᲐᲛᲒᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	7	30
— ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ . .	8	40
ᲒᲐᲰᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲒᲐ ᲤᲣᲗᲘ.	9	60
ᲛᲐᲢᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ.	6	50
— ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ . .	3	80
ᲐᲒᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ .	2	10
ᲥᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ	5	50
ᲥᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	7	55
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲗ.	12	60
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	1	8
—ᲪᲮᲔᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ . .	1	8
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ ᲕᲔᲓᲠᲝ	4	60
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	35
—ᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	5	50
ᲧᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲚᲘ, ᲒᲘᲠᲒ. .	—	65
ᲮᲔᲗᲘ ᲫᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ	11	80
ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ, ᲮᲐᲨᲣᲚᲝ-ᲤᲗ.	7	40

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲜᲖᲔ, ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲦᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲛ 1-ᲛᲓᲘᲜ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲚᲔᲕᲘᲩᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗ., ᲛᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪ—ᲥᲐᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲝᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. Ა. ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲕᲘ—ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ. ᲞᲔᲣᲜᲝᲕᲘ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡ.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ., ᲛᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪ—ᲡᲘᲤᲘᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲐᲠᲓᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲨᲘᲜᲐᲒ., Ა. ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲕᲘ—ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲒ., ᲓᲐ ᲞᲔᲣᲜᲝᲕᲘ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐ.

Дозволено цензурою. Тифлисъ 10 Апрѣля 1879 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.